PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 10/01-15-1

ქ. თბილისი

10 თებერვალი 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარის ვახტანგ აბაშიძის სახით, და მეორე მხრივ, შპს "რესტორანი ძველი მეტეხი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ მაჭარაშვილი სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის წესის გამოყენებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება მომსახურების მიღების შემდეგ.

1.8. შესყიდვის კატეგორია - CPV 55300000.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი შემსყიდველს გაუწევს რესტორნით მომსახურებას 2015 წლის -10-- თებერვალს, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს მიღებული მომსახურების საფასური.

3. ხელშეკრულების ღირებულება

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2368.47 ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში, მიღებული მომსახურების მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისათვის მომსახურების მიწოდებას 2015 წლის --10-თებერვალს.

5.2. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. სტანდარტები და გარანტია

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

6.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
6.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისათვის მომსახურების მიწოდებას 2015 წლის 31 მარტამდე.

7. მხარეთა უფლება-ვალდებულებები
7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის შემოწმება (კონტროლი);
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება სრული მოცულობით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) და შემოწმება.
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის (ინსპექტირების) და შემოწმების განხორციელების უფლება ენიჭება შემსყიდვლის სტრატეგიული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს მზია გოგილაშვილს, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. 10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ცვლილება დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა
11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე შემსყიდველის მიერ გარკვეულია, რომ შემსყიდველის მიერ არ არის დარღვეული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის დებულებები.

16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

ასიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"
კომისიის თავმჯდომარე
ვახტანგ აბაშიძე

მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქ. №50/18
საიდ.კოდი: 204953050
სს „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: 220101830
ა/ა: GE11PB0600000000609326

მიმწოდებელი:

შპს „რესტორანი ძველი მეტეხი"
დირექტორი ნუგზარ მაჭარაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, მეტეხის აღმართი 3
საიდ.კოდი: 206274306
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE91TB1123336020100001
სს „თი ბი სი ბანკი"

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

<u>თიბისი ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი</u>

BANK CODE-220101850

NAME OF BENEFICIARY-შპს რესტორანი ძველი მეტეხი

BEN,S ACCOUNT-GE91TB1123336020100001/GEL

ს/კოდი 206274306
მისამართი ქ. თბილისი, მეტეხის აღმართი 3
დირექტორი: ნუგზარ მაჭარაშვილი

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

10 თებერვალი 2015 წელი

ქ. თბილისი

მიღება – ჩაბარების აქტი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და შპს „რესტორან ძველ მეტეხს“ შორის 2015 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „რესტორან ძველ მეტეხის“ წარმომადგენელმა ჩააბარა, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

ჩაიბარა

კომისიიდან

ჩააბარა

შპს „ძველი მეტეხი-დან“

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

რესტორანი

ძველი მეტეხი

(წინასწარი ჩეკი)

ჩეკი # _____

Restaurant * Dzveli Metekhi *

==========

მაგიდა # 14 471 A21
თარიღი/Date: 10/2/15
გაიხსნა 11:24:15
ბოლო შეკვეთა: 21:47:20
დაიბეჭდა: 22:08:14
მიმტანი:
დათო ბერიაშვილი

სალათი:
კიტრი-პომიდ. სალათი ზეთით 7X5.5 = 38.5
ცივი საუზმე:
ხორცის ასორტი 7X30 = 210
ყველის ასორტი 7X18 = 126
მწნილის ასორტი 7X5 = 35
თხალეული:
თხალის ასორტი 7X18 = 126
თევზეული:
ორაგული ბაჟეში 7X10 = 70
ცხელი კერძი:
ხბოს ჩაშუშული 12X15.5 = 186
დესერტი:
ხილის ასორტი 6X18 = 108
საწებელი:
ტყემალი 6X1.5 = 9
ცივი საუზმე:
კუჭმაჯი ნიგვზით 7X8.95 = 62.65
წიწილა კონიაკში 6X20 = 120
ცომეული:
ჭვიმტარი 28X2 = 56
ხაჭაპური მეგრული 7X12 = 84
შოთის პური 35X1 = 35
ჩაი, ყავა:
ესპრესო 8X4 = 32
კაპუჩინო 1X5 = 5
ჩაი 5X3 = 15
გამაგრილებელი სასმელი:
ბორჯომის წყალი 10X2.5 = 25
ნაბეღლავი 15X2 = 30
ლიმონათი ყაზბეგი 35X2 = 70
ღვინო:
ჩამ. ღვინო კახური 1ლ 10X4.8 = 48
წითელი მშრალი ღვინო:
საფერავი თელ. ღვ. მარ. 14X28 = 392
ცხელი კერძები:
მწვადის ასორტი 6X45 = 270

==========

ჯამი/SUB-TOTAL: **2153.15** ლარი/GEL
დარიცხვა/Extra: 10%

სულ 2368.47 ლარი.
TOTAL 2368.47 GEL

გმადლობთ, კიდევ გვეწვიეთ!
You are welcome!

SUPHRA++ Software For Restaurants. www.suphra.ge